შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (10.085)

19—26 აგვისტო 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საუკუნის პროექტი რეალობად იქცა

დედოფლისწყაროში, რომლის ტოპონიმშიც „წყარო“ ფიგურირებს, წყალი ფუფუნებად და აუხდენელ ოცნებად ითვლებოდა. კომუნისტების მმართველობის პირობებშიც კი აქ ვერ მოხერხდა უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის ამოქმედება. ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საუბარი და მუშაობა უწყლობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ დაპირება – დაპირებად რჩებოდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან კვლავ აქტუალური გახდა 24-საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და უწყლობის, როგორც პრობლემის, წარსულში დატოვების საკითხი. შეირჩა პროექტი, რომელიც წყლის დებეტის მნიშვნელოვანი გაზრდით წყალმომარაგების საკითხის მოგვარებას ისახავდა მიზნად. დედოფლისწყაროელთა ერთი ნაწილი ამ ინიციატივასაც სკეპტიკურად შეხვდა. თუმცა, ამ დღეებში მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებში მოსულმა წყლის უწყვეტმა ნაკადმა დედოფლისწყაროელთა სკეპტიციზმი დაამარცხა და ის საყოველთაო სიხარულმა შეცვალა. „პირველი შვილი რომ შემეძინა, იმდენ ადამიანს არ მოულოცავს, რამდენმაც წყლის მოსვლა მომილოცა“; „მოდის, მოდის 24 საათიანი, გილოცავთ!“; გილოცავთ დედოფლისწყაროელებო!!! 24 საათიანი წყალი ჩვენს რაიონში წარმოუდგენელი იყო, გახსნი ონკანს და წყალი მოჩქეფს, მადლობა მთავრობას და იმ ადამიანებს ვისაც მცირედი წვლილიც კი მიუძღვის ამ დიდებულ, საშვილიშვილო საქმეში“- აი, ასეთმა პოსტებმა მოიცვა სოციალური სივრცე.

პირველი სიხარულიანი პოსტების შემდეგ გაჩნდა პოსტებიც, სადაც ადამიანები ჩიოდნენ, რომ წყალი მათ ონკანებზე შეწყდა...

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მდინარე ივრიდან სასმელი წყლის დებეტის გაზრდის პროექტი წარმატებით განხორციელდა, მაგრამ წყალი მოსახლეობაში სატესტო რეჟიმშია გაშვებული. რამდენიმე უბანში დაფიქსირდა დაზიანება, რომელსაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლები ეტაპობრივად აგვარებენ. არსებული და შესაძლო დაზიანებების აღმოფხვრას 2-3 კვირა დასჭირდება, შემდეგ კი წყალს დაპირებული, 24-საათიანი გრაფიკით მიიღებს ყველა აბონენტი.

გილოცავთ, დედოფლისწყაროელებო, საუკუნის პროექტი რეალობად იქცა

* * *

წყალი, რომელიც ბუნებას აცოცხლებს, ნათესებს ამწვანებს, მარცვალს ზრდის... წყალი უძველესია, რაც დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის დაწყებამდე არსებობდა...სიცოცხლის სიმბოლო... ბარაქის სიმბოლო... ელემენტი, რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ცოცხალ არსებებს... წყალი, რომელიც აყალიბებს ცივილიზაციებს, წყალი არის ის, რისთვისაც საუკუნეების განმავლობაში ომები მიმდინარეობდა და მკვლელობები ხდებოდა, რადგან წყალი ვისაც აქვს, მას ყველაფერი აქვს. წყალი შეუცვლელია!

წყალი წამყვან როლს ასრულებს მითოლოგიაში, ლეგენდებსა და ეპოსში ადამიანის მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ. იგი დღესაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც გუშინ, რადგანაც წყალს, პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენა აქვს ყველაფერზე, რაც ჩვენ გვაქვს. იგი სტრატეგიული რესურსია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც აქვთ მსოფლიო კონიუნქტურაში სიტყვის თქმის სურვილი...

როგორც ყველა ბუნებრივი რესურსის შემთხვევაში, წყალსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მაგრამ წყლის ღირებულება ბევრად აღემატება სხვას, რადგან სიცოცხლეს და საცხოვრებელ გარემოს წყალი ქმნის. როგორც ეგზიუპერი იტყოდა:

„არ შეიძლება იმის თქმა, რომ წყალი აუცილებელია სიცოცხლისთვის, რადგან თვითონ წყალია სიცოცხლე“.

სამ სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყობა

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება. მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები. ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ღირსეული პირობების შექმნას.

დედოფლისწყაროს მერის, **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** განცხადებით, სწორედ ამ მიზნით იგეგმება სასიამოვნო სიახლე მაჩხაანის ზონის მოსახლეობისთვის. „უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროსთვის. ის თავიდანვე იყო ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. თითქმის მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაიგო ასფალტის საფარი, გაკეთდა გზები, რითიც ყოველთვის თავს ვიწონებთ და ვამაყობთ. მაჩხაანის ზონა, ჯერჯერობით, ამ სიკეთეს მოკლებულია. მაგრამ მოკლე ხანში არბოშიკს, მირზაანსა და ზემო მაჩხაანსაც ექნება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გზა, რომელიც მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების გარანტი იქნება.

საგზაო დეპარტამენტსა და შესაბამის სამშენებლო კომპანიას შორის უკვე დაიდო ხელშეკრულება სამ სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თაობაზე. სამშენებლო სამუშაოები სექტემბრიდან დაიწყება და ითვალისწინებს გზის მშენებლობას გედიქის ხევიდან - ზემო მაჩხაანის დაცულ ტყემდე. პროექტის ღირებულება 12 მილიონი ლარია.

პროექტის თანახმად, გედიქიდან მოხდება გზის სრული რეაბილიტაცია და არბოშიკს, მირზაანსა და ზემო მაჩხაანს ექნება სრულიად ახალი გზა, ისეთივე, როგორიცაა სოფელ ზემო ბოდბემდე მისასვლელი დაცული ტყის გზა. გარდა იმისა, რომ სამ სოფელს და მის მოსახლეობას გაუუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, ეს გზა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ის ერთ-ერთი უმოკლესი გზაა სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დასაკავშირებლად“.

პროექტის დასრულება 2024 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.

დედოფლისწყაროს მზა „სადილი“ აშშ-ში

გვ. 4

პარა ტაეკვონდოს ნაკრების მორიგი წარმატებული გამოსვლა როტერდამში

გვ. 8

პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ისრაელში

„უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი ჰქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ისრაელის სახელმწიფოში. ჩვენ ორ ქვეყანას შორის, ორ ხალხს შორის გვაქვს განსაკუთრებულად გამორჩეული ურთიერთობები“, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ისრაელის სახელმწიფოში ვიზიტის შეფასებისას განაცხადა.

ილია დარჩიაშვილის თქმით, ეს ვიზიტი აუცილებლად მოიტანს ახალ იმპულსს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში.

„შეხვედრის დროს განხილული იყო ძალიან ფართო სპექტრი თანამშრომლობის, ის მიმართულებები, რომლებიც კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა მიმართულებით. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულად იქნა ხაზგასმული ჩვენს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერების და გაღრმავების აუცილებლობა. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2024 წელს უკვე დაიწყება მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორ ქვეყანას შორის, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას ამ მიმართულებით. ზოგადად, უნდა აღვნიშნო, რომ ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი, დროული იყო და დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი გააძლიერებს და გააღრმავებს იმ უკვე არსებულ ძალიან ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელიც იქნება ღირებული ებრაელი და ქართველი ხალხისთვის“, - განაცხადა ილია დარჩიაშვილმა, რომლის კომენტარსაც მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

კახეთში არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, იმერეთსა და კახეთში 3 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოავლინეს.

კახეთში, ქალაქ ახმეტაში, მოქალაქეებს ლენტური ტიპის უკანონო სახერხი საამქროები საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ, ასევე, კუთვნილ მიწის ნაკვეთში ჰქონდათ მოწყობილი.

იმერეთსა და კახეთში, ორივე ტერიტორიიდან ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული ნიფლისა და წაბლის სახეობის 21 კუბური მეტრი მოცულობის პირველადი გადამუშავების პროდუქტი (ფიცარი) და წაბლის სახეობის 5 ერთეული მრგვალი ხე-ტყე (მორი).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ვინაიდან სამივე ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

გამოფენაში Seoul Wine and Spirits Expo

2023 ქართულ ღვინოს 14 კომპანია წარადგენს

კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში, 22 ივნისს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Seoul Wine and Spirits Expo 2023” გაიხსნა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 14 კომპანია მონაწილეობს.

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში ინტენსიურად იზრდება ქართული ღვინის ექსპორტი, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ახალი სტაბილური და პერსპექტიული ბაზრების მოძიების მიმართულებით; ვფიქრობთ, რომ სამხრეთ კორეის ბაზარი არის სწორედ ერთ-ერთი მათგანი“, - განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, რომელიც გამოფენის „Seoul Wine and Spirits Expo 2023” გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლასთან და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, თარაშ პაპასქუასთან ერთად დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, მსგავსი ტიპის მასშტაბურ გამოფენებში ქართული ღვინის წარდგენა ემსახურება ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

„სამხრეთ კორეა ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი საინტერესო და პერსპექტიული ბაზარია, სადაც სწორი მარკეტინგული სტრატეგიისა და მიზნობრივი მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდება ხელშესახები წარმატების მიღწევა. გამოფენის მიმდინარეობისას ნათლად ჩანს, რომ დიდია დაინტერესება როგორც უშუალოდ ქართული ღვინით, ისე ისტორიითა და კულტურით. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ქართული ღვინის ექსპორტი სამხრეთ კორეაში მზარდია, თუმცა რესურსი დიდია და სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მაჩვენებლების ზრდის რეალური პერსპექტივა გვაქვს“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

„Seoul International Wine & Spirits Expo“, თავისი მასშტაბებით, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთი უდიდესი ყოველწლიური ღონისძიებაა აზიის რეგიონში. მიმდინარე წელს გამოფენა 22-დან 24 ივნისის ჩათვლით იმართება.

სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართველ ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი პროდუქცია გააცნონ ადგილობრივი ღვინის პროფესიონალებს, რაც ქართული ღვინით დაინტერესებისა და შემდგომში გაყიდვების ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

გამოფენაში მონაწილე ქართული ღვინის მწარმოებლების შეფასებით, სამხრეთ კორეა, ჩინეთთან და იაპონიასთან ერთად, ქართული ღვინისთვის პერსპექტიული ბაზარია, სადაც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ ქართული წითელი და ქვევრის ღვინოების მიმართ.

„Seoul Interenational Wines and Spirits Expo“-ზე ქართული ღვინის პირველი წარდგენა 2015 წელს გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართველი მეღვინეები აღნიშნულ გამოფენაში 2019 და 2022 წლებში მონაწილეობდნენ. თავდაპირველად, გამოფენაში შვიდი კომპანია მონაწილეობდა, მიმდინარე წელს კი, ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია.

II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023 წლის მეორე კვარტალში სამუშაო ძალის მაჩვენებლების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს.

„საქსტატის“ ცნობით, 2023 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.7 პროცენტი შეადგინა.

გარდა ამისა, „საქსტატის“ განმარტებით, უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით.

„2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 48.7 ათასი კაცით (5.6%) და 916.7 ათასს მიაღწია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 9.0 ათასით გაიზარდა (2.2%) და 410.2 ათასი შეადგინა. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 14.6 ათასით (5.2%) და 266.9 ათასი შეადგინა. 2023 წლის II კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 53.2 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე 2.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 44.3 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 1.0 პროცენტული პუნქტით, სოფლის ტიპის დასახლებებში კი - 2.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი, სოფლის ტიპის დასახლებებში კი - 2.0 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 44.9 პროცენტს და 43.4 პროცენტს შეადგენს.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 69.1 პროცენტი შეადგინა.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე შემცირებულია საქალაქო ტიპის დასახლებებში 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 2.0 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 14.5 პროცენტს და 18.5 პროცენტს შეადგენს.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2023 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 42.9 პროცენტს, ხოლო კაცებში 65.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.9 პროცენტული პუნქტით.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე გაზრდილია როგორც ქალებში, ასევე კაცებში შესაბამისად 2.1 და 2.0 პროცენტული პუნქტით“, - აღნიშნულია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შვეიცარია საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ პასპორტებს აღარ აღიარებს



შვეიცარია საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ პასპორტებს აღარ აღიარებს.

შვეიცარია არ აღიარებს საქართველოსა და უკრაინის დროებით ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის მიერ გაცემულ პასპორტებს. გადაწყვეტილება შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ მიიღო. განცხადების თანახმად, დროებით ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები ვერ შეძლებენ რუსეთის მიერ გაცემული პასპორტებით მიიღონ შენგენის ვიზა ან გადაკვეთონ შენგენის საერთაშორისო საზღვარი. შვეიცარია არ აღიარებს რუსეთის მიერ გაცემულ დიპლომატიურ და ჩვეულებრივ პასპორტებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირთა ბინადრობის ნებართვასა და მეზღვაურების საიდენტიფიკაციო ბარათებს.

უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიებისთვის საბუთები სხვადასხვა თარიღის მიხედვით არ იქნება აღიარებული. საქართველოს დროებით ოკუპირებული რეგიონების შემთხვევაში კი თარიღად 2008 წლის 26 აგვისტოა მითითებული. შესაბამისად, ამ თარიღის შემდეგ გაცემული რუსული პასპორტებით შენგენის ვიზის აღება შეუძლებელი იქნება. „რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს განაცხადა, რომ ის ოფიციალურად აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ძალიან ცოტა სახელმწიფომ გააკეთა ეს და შვეიცარია ამ რეგიონებს თვლის, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს“, - ვკითხულობთ ფედერალური საბჭოს განცხადებაში. შეზღუდვების მიუხედავად, შვეიცარია ვიზების გაცემას კვლავ გააგრძელებს მხოლოდ კონკრეტული მიზნებით, მათ შორის ჰუმანიტარული მიზეზების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ56.5623228001

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 აგვისტოს N300 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის შემოდგომო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზვიად ჯავაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2023 წლის 21 აგვისტოდან 2023 წლის 27 დეკემბრამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, **ჰ. გონაშვილის ქ. №6.**

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.**(ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)**

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიანნ ან სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 21 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 09 თებერვლის №ბ56.56230403 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის მერი

2023-2024 სასწავლო წლის ე.წ. უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალი უნივერსიტეტების მიხედვით ცნობილია

2023-2024 სასწავლო წლისთვის სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები (ე.წ. უფასო ფაკულტეტები) უკვე დამტკიცდა .

მინისტრის მოადგილის ბრძანება 2023 - 2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე ორ დანართს აერთიანებს, სადაც სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამებია მოცემული.

გთავაზობთ ე.წ. უფასო ფაკულტეტებს უნივერსიტეტების მიხედვით:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ქართული ფილოლოგია; ისტორია; არქეოლოგია; ფილოსოფია; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა; მათემატიკა; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ეკონომიკა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

მშენებლობა; ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; არქიტექტურა; მათემატიკა; საინჟინრო ფიზიკა; აგრარული ტექნოლოგიები; სასურსათო ტექნოლოგია; სატყეო საქმე; აგროინჟინერია; მეცხოველეობა; აგრონომია; ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია; ქიმია; მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია; სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია; სამთო და გეოინჟინერია; საინჟინრო გეოდეზია; გეოლოგია; საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა; მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი; ბიოსამედიცინო ინჟინერია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა; მევენახეობა და ენოლოგია; მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი; მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა; ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა; მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება; ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; გარემოსდაცვითი ინჟინერია; ციფრული სატელეკომუნიკაციო სისტემები; ტრანსპორტი; სამოქალაქო ინჟინერია.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); ისტორია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); არქეოლოგია; ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგიტრო პროგრამა; მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა; არქიტექტურა; ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა).

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ქართული ენა და ლიტერატურა; არქეოლოგია; ისტორია; მათემატიკა; ბიოლოგია; ეკონომიკა; მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი განათლება); ელექტრული ინჟინერია; მშენებლობა; აგრონომია; სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა; ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში; საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; ქიმია; ეკოლოგია; გეოგრაფია; გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგიები); სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა; საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა; გამოყენებითი დიზაინი; ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები; გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია.

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ისტორია; ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ეკონომიკა; ინფორმაციული ტექნოლოგიები; აგრონომია; ეკოლოგია; საჯარო მმართველობა; ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ისტორია; ქართული ენა და ლიტერატურა; ბიოლოგია; სასურსათო ტექნოლოგია; აგრონომია; ეკონომიკა.

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ეკონომიკა; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; მშენებლობა; აგრარული ტექნოლოგიები; ქართული ფილოლოგია; ისტორია; ბიოლოგია; ქიმია; ფიზიკა; მათემატიკა; სკოლამდელი განათლება.

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მათემატიკა; ქიმია; ბიოლოგია; ფიზიკა; ქართული ფილოლოგია; არქეოლოგია; ისტორია; აფხაზური ფილოლოგია; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ეკონომიკა.

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ისტორია; ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; საჯარო მმართველობა; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ბიოლოგია; ეკონომიკა; საჯარო მმართველობა; ინფორმატიკა.

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათთვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობები

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება):

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2,524,500.00 ლარი;

ბ) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3,966,750.00 ლარი;

გ) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 900,000.00 ლარი;

დ) სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2,124,000.00 ლარი;

ე) სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 967,500.00 ლარი;

ვ) სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 562,500.00 ლარი;

ზ) სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 587,250.00 ლარი;

თ) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 659,250.00 ლარი;

ი) სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 207,000.00 ლარი;

კ) სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 225,000.00 ლარი.

ტარიბანას ფსტა ექსპორტს 2-3 წელიწადში დაიწყებს

დედოფლისწყაროში ქართული ფსტას მწარმოებელი, კომპანია „ტარიბანა-2016“ მიმდინარე წელს მესამე მოსავალს ელოდება.



კომპანიის თანადამფუძნებელი ბაკურ კიკაძე ამბობს, რომ ქართული ფსტა ფორმის, ზომის, ფერისა და გემოვნური თვისებით მსოფლიოში გამორჩეულია და სამომავლოდ გეგმავენ ექსპორტს ევროპაში, თუმცა მანამდე ძალების მოსინჯვას ქართულ ბაზარზე შეეცდებიან.

„ფსტა ამ ეტაპზე მყნობის პროცესს გადის. ჰიბრიდული საძირეები, ამერიკული ჯიშისაა, რასაც მცენარე უნდა დაემყნოს. კარგად ასხია, გამიჭირდება საპროგნოზო მაჩვენებლის დასახელება, ექსპორტზე ჯერ არ ვფიქრობთ, 2-3 წელიწადში ამის შესაძლებლობა გვექნება.

გარკვეული პარტიის გატანა მანამდეც შეიძლება, მაგრამ გვინდა ქართული ფსტა პირველად ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდოს. ჰიპერმარკეტებში 1 კგ. ფსტა 12 ლარი ღირს, ამ დროს იმდენად უხარისხოა, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ფასიც დიდ გაოცებას იწვევს, რადგან ამ პროდუქტის ღირებულება ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე 12-15 დოლარის ფარგლებშია, თუმცა შეიძლება სამომავლოდ გაძვირდეს, რადგან ირანში მოსავალი უამინდობის გამო განადგურდა და ფასმა თითქმის 2-ჯერ მოიმატა.

დიდი ალბათობით, ფასის ზრდა ევროკავშირის ბაზრებზეც იქნება მოსალოდნელი“, - ამბობს ბაკურ კიკაძე.

როგორც მეწარმე ამბობს, შარშანდელი მოსავალი არ გაყიდეს და ნაწილი მთლიანად სათესლე მასალად გამოიყენეს, ნაწილიც - ლაბორატორიული კვლევებისთვის.

კიკაძის თქმით, ქართული ფსტა დიდი პოტენციალის მქონე მცენარეა, რომელსაც განვითარების დიდი შესაძლებლობა აქვს როგორც ექსპორტზე, ასევე ადგილობრივ ბაზარზე.

„მუდმივად დაკვირვების რეჟიმში ვართ. ქართული ფსტა ფორმის, ზომის, ფერისა და განსაკუთრებით, გემოს გამო მსოფლიო ბაზარზე გამორჩეულ ნიშას დაიკავებს, ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული. ამ კულტურის მიმართ მომავალში მეტი დაინტერესება იქნება. დიდი შანსია, რომ ქართული წარმოება განვავითაროთ, ჩვენი დალოცვილი მიწა ამ მხრივ დიდ შესაძლებლობას გვაძლევს“, - ამბობს მეწარმე.

მისი თქმით ევროპისა და აზიის ქვეყნებში მოთხოვნა მზარდია, განსაკუთრებით კი ჩინეთსა და ინდოეთში, რაც შეეხება ფასს 1 კგ მშრალი ფსტის ფასი 12$ -დან 15$- მდე მერყეობს.

კომპანიამ საცდელი ნაკვეთი 2016 წელს 1 ჰექტარზე გააშენა. 2018 წელს კი დამფუძნებლების შერჩეული საძირით ფსტას ბაღი 47 ჰექტარზე გაშენდა (ჯამში, 22 500 მცენარე).

ნაკვეთში მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა და 10400 კუბ/მ. - ის მოცულობის წყლის აუზი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, კომპანია დედოფლისწყაროში ფსტის გადამამუშავებელ საწარმოს შექმნას აპირებს. სადაც, როგორც მათი, ასევე დაინტერესებული ფერმერების მოსავალი გადამუშავდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაშლის მოსავლის რეალიზაციისთვის ემზადებიან

წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წელს, არასტანდარტული ვაშლის მოსავალი 50 ათასი ტონაზე მეტი იქნება.

იმისათვის, რომ დაუბინავებელი არ დარჩეს წარმოებული პროდუქცია, ფერმერებს არ შეექმნათ მოსავლის რეალიზაციის პრობლემა და მიიღონ შემოსავალი, არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, წინა წლების მსგავსად, წელსაც განხორციელდება.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 10 თეთრის ოდენობის სუბსიდიას გასცემს.

სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ ხილის გადამმუშავებელი ის კომპანიები, რომლებიც 2023 წლის 15 დეკემბრამდე ფერმერებისგან 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 24 თეთრად შეისყიდიან.

პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ვაშლის ჩაბარების პროცესს ადგილზე გაუწევს კოორდინაციას.

ხილის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ჩაერთვებიან პროექტში, ვალდებულნი იქნებიან საკოორდინაციო შტაბში ელექტრონული ფორმით გაიარონ რეგისტრაცია.

მალე დედოფლისწყაროს მზა „სადილი“ აშშ-ში გავა

დედოფლისწყაროს მზა საკვების მწარმოებელი კომპანია „სადილი“ წარმოების ზრდასთან ერთად, ექსპორტზე აქტიურ ნაბიჯებს დგამს. აზერბაიჯანის შემდეგ აშშ იქნება მეორე ქვეყანა, სადაც ქართული ბრენდი „სადილი“ შესვლას გეგმავს. საექსპორტო ბაზრების ზრდის გამო გაიზარდა ასორტიმენტი და დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობაც.

როგორც კომპანიის მარკეტინგის კონსულტანტი ამიკო კალანდია ამბობს, ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭების შემდეგ „სადილი“ აშშ-ში გაიყიდება.

„კომპანიის საქმიანობისთვის წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით საინტერესოა. ვაგრძელებთ წარმოების გაფართოებასა და მდგრად განვითარებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი პროდუქციის სარეალიზაციო არეალი ფართოვდება როგორც შიდა ბაზარზე, ასევე გლობალური მასშტაბითაც. ამ ეტაპზე საქართველოში რამდენიმე ქსელურ მარკეტში ვართ წარმოდგენილი და ვგეგმავთ, რომ წლის ბოლომდე ქსელური მარკეტების უმეტესობა მოვიცვათ.

გარდა ამისა, რამდენიმე თვის წინ აზერბაიჯანში გავედით, ახლა კი ამერიკულ ბაზარზე გასასვლელად ვემზადებით, რის შესახებაც მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. აშშ-ში მონაწილეობა მივიღეთ სასმელი და საკვები პროდუქციის ყველაზე მასშტაბურ გამოფენაში **„Gulfood** 2023“, სადაც შევხვდით პოტენციურ მყიდველებს და წარმატებული მოლაპარაკებაც ვაწარმოეთ. ქართული ბრენდის დაშვებისთვის ახლა ვმუშაობთ ამერიკის ბაზრის სპეციალური სერტიფიკატის მიღებაზე. სავარაუდოდ, უკვე სექტემბრიდან ექსპორტისთვის მზად ვიქნებით“, – ამბობს ამიკო კალანდია.

აღსანიშნავია, რომ სადილი სულ ცოტა ხნის წინ „**Golden Brand** 2022“-ის ჯილდოს მფლობელი გახდა. „ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჯილდოა ვინაიდან, ხარისხსა და მომხმარებელზე ორიენტირებული ბრენდი ვართ და ამის აღიარება ძალიან სასიამოვნოა“, - დასძენს კალანდია.

დედოფლისწყაროში წარმოებული მზა ხორცპროდუქტები რამდენიმე წლის წინ ექსპორტზე უკრაინაშიც გადიოდა, თუმცა, როგორც კომპანიაში „შირაქს“ განუცხადეს, რუსეთთან საომარი მოქმედებების გამო ამ ქვეყანაში ექსპორტი გაურკვეველი ვადით შეჩერდა.

ცნობისთვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო, შპს „ჯეონატურალსი“, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში 2016 წელს შეიქმნა. ფინანსური მხარდაჭერა „სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში მოხდა. საწარმოში, ჯამურად, 380,660 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 190,300 დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო 152,300 დოლარი სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტია. ამჯერად სოფელ გამარჯვებაში მდებარე „სადილის“ საწარმოს წლიური წარმადობა 2 500 000 ქილა კონსერვია. ქარხანაში 30 ადამიანია დასაქმებული. პროდუქცია იყიდება როგორც ქსელურ მარკეტებში, ისე უბნის მაღაზიებში.

ილია მარტყოფლიშვილი

ანაკლიის საზაფხულო ბანაკი ახმაურდა

კოვიდპანდემიის დასრულების შემდეგ ზაფხულის ცხელ დღეებში ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკების ტრადიცია აღდგა, სადაც უკვე მეორე წელია არდადეგებზე მოზარდები ქვეყნის ყველა რეგიონიდან იკრიბებიან და დროს შინაარსიანად ატარებენ. წელს ანაკლიამ უკრაინელ მოზარდებსაც უმასპინძლა. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენი ახალგაზრდა ჩაერთო წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდული ბანაკის სახელმწიფო პროგრამაში, რომელსაც ახალგაზრდობის სააგენტო ახორციელებს.

„გაგვიმართლა, რომ ეს შანსი მოგვეცა და ანაკლიაში დავისვენეთ!... მართლაც დაუვიწყარი დღეები გვაჩუქეს“

დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ წელს დასვენების მსურველი გაცილებით მეტი იყო, თუმცა, პირველი ნაკადის ბანაკში გამგზავრება რაჭაში მომხდარ ტრაგედიას დაემთხვა და შედეგად, ზღვისპირა ბანაკში რეგისტრირებულთა მხოლოდ ნახევარი წავიდა. მისი განმარტებით, სულ მალე დედოფლისწყაროდან კიდევ ერთი ნაკადი გაემგზავრება.

თამარ თამაზაშვილი: „მოტივირებული ახალგაზრდები, ასევე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან შეირჩნენ მსურველები. პირველ ნაკადში დედოფლისწყაროდან 12 მოზარდი უნდა წასულიყო, მაგრამ შოვის უმძიმესმა ტრაგედიამ მშობლები შეაშინა და ბევრმა ბოლო წუთებში გადაიფიქრა ბავშვის გაშვება. ამდენად, საბოლოოდ ექვსი მოსწავლე გაემგზავრა ანაკლიის ბანაკში. მეორე ნაკადი უახლოეს დღეებში გაემგზავრება. 7 მსურველია მეორე ნაკადისთვის ჩაწერილი, თუმცა, შესაძლოა ეს რიცხვი ისევ შეიცვალოს“.

გაზეთი „შირაქი“ ბანაკის მონაწილეებსაც ესაუბრა და მათი შთაბეჭდილებებით დაინტერესდა. როგორც გაირკვა, პირველ ნაკადში დედოფლისწყაროდან 6 მოსწავლე ისვენებდა, ყველა მათგანი საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეა. ისინი ანაკლიის დღეებს იმდენად ემოციურად გადმოსცემენ, აშკარად დაუვიწყარია მათთვის.

დარეჯან ნასრაშვილი: „ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, რომ ეს შანსი მომეცა და წელს ანაკლიაში დავისვენეთ. უზომოდ ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, იმდენად კარგი ლიდერები და ბანაკის წარმომადგენლები ზრუნავდნენ ჩვენს განწყობაზე. მართლაც დაუვიწყარი 1 კვირა გვაჩუქეს და ამისათვის ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ. რაც შეეხება ჩვენი დღის რეჟიმს, ძალიან ნაყოფიერი პროგრამა იყო. დილიდან საღამომდე საკმაოდ ბევრი აქტივობა და შემეცნებითი ტრენინგი გვქონდა. უამრავი ახალი მეგობარი შევიძინეთ და ბანაკიდან წამოვიღეთ ბევრი ტკბილი მოგონება“.

ანა ალადაშვილი: „სანამ ანაკლიაში წავიდოდი, უკვე ვიცოდი, როგორი პირობები დამხვდებოდა და ერთი სული მქონდა ადგილზე როდის ჩავიდოდი. როცა ადგილზე ჩავედი, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ბანაკი იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე წარმომედგინა. თავიდან ცოტა მეშინოდა, მეგონა გამიჭირდებოდა და გარემოს ვერ შეეგუებოდი, მაგრამ, 1 კვირის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შევისწავლე, ვესწრებოდი ტრენინგებს და ყოველ დღე გვქონდა სხვადასხვა თემაზე საუბარი. ვისწავლე ბევრი თამაში, გავიცანი ძალიან ბევრი ადამიანი. სახლში წამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ ბოლო დღე რომ დადგა და ბანაკის დასატოვებლად ვემზადებოდით, მერე გავიაზრე ყველაფერი და გული დამწყდა. გამიმართლა, რომ საუკეთესო ლიდერები მყავდა - გეგი და სალომე, აღარაფერს ვამბობ ჩემს გუნდზე, მართლა საუკეთესო ადამიანები იყვნენ და საოცრად თბილები. ბოლოს იქაურობა ისე მომწონდა, წამოსვლა აღარ მინდოდა. შემდეგ წელს რომ დამირეკონ კიდევ, დიდი სიამოვნებით წავიდოდი. პირველ რიგში ეს ბანაკი გვეხმარება ხალხთან კომუნიკაციის დამყარებაში, ასევე გვაძლევს ისეთ განათლებას, რაც მომავალში ნებისმიერ მოზარდს ცხოვრების გზაზე გამოადგება. იყო საგანმანათლებლო აქტივობები, რაც განვითარებაში გვეხმარება. ჩატარდა ტრენინგები საინტერესო და საკმაოდ საჭირბოროტო თემებზე, როგორიცაა მომავალი პროფესიის არჩევა და სხვა საკითხები. სწორედ ეს გვეხმარება ბავშვებს ჩამოყალიბებაში და საკუთარი აზრის დაფიქსირებაში“.



ლილიანა უთრუთაშვილი: „კლიმატთან შეგუება ცოტა გამიჭირდა. გარემო საოცრად ლამაზი იყო. ჩვენი ყოველი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით, როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი ღონისძიებებით. ძალიან მომეწონა ბანაკი. მართლაც კარგი სიტუაცია იყო. რაც მთავარია, გავიცანი ძალიან კარგი ხალხი და შევიძინე მეგობრები. ბანაკმა ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. ეს ყოველთვის იქნება ჩემს მეხსიერებაში, როგორც ტკბილი და ბედნიერი მოგონებები. ამ ყველაფრის გახსენება ყოველთვის მომგვრის სახეზე ღიმილს, რადგან ჩემთვის იქ გატარებული თითოეული დღე სიხარულთან ასოცირდება“.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ბანაკის გარდა წელს სხვა ტიპის საზაფხულო ბანაკებიც მოქმედებს, სადაც დედოფლისწყაროს საპატრიარქოს სკოლის რამდენიმე მოსწავლეც იმყოფებოდა. როგორც დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატოს დირექტორი **თეა სხირტლაძე** განმარტავს, საპატრიარქოსა და სტეფანწმინდის ეპარქიის მხარდაჭერით კიდევ ერთი საზაფხულო ბანაკი თრუსოს ხეობაში მოეწყო. მოზარდები იქიდანაც კმაყოფილები დაბრუნდნენ და „შირაქს“ შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

გიორგი ალუღიშვილი: „ზოგადად ბანაკში მეორედ ვარ, თუმცა ამჯერად თრუსოს ხეობის ბანაკში ვიყავი, რომელიც სხვა ბანაკებისგან განსხვავდება. ამ ბანაკის დევიზია „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. ეს ფრაზა საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ რა დატვირთვა აქვს მას მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებისთვის. ბანაკში გავატარე დაუვიწყარი 10 დღე, რომელიც, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკში იმყოფებოდნენ ბავშვები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან და მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სკოლას, რომ მომცა იქ წასვლის შესაძლებლობა. ბანაკის დღის რეჟიმი საკმაოდ მრავალფეროვანი და დატვირთული იყო. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის და საუზმის შემდეგ იყო უამრავი აქტივობა. 10 დღის განმავლობაში იმართებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები, მუსიკის და პოეზიის საღამოები. ამ ბანაკში უამრავი მეგობარი შევიძინე. მადლობა მინდა გადავუხადო ბანაკის ორგანიზატორებს და ხელმძღვანელობას ამ სიყვარულისთვის, სითბოსთვის და იმ ემოციებით სავსე დღეებისთვის, რომელიც იქ ყოფნის განმავლობაში გვაჩუქეს“.

როგორც ახალგაზრდობის ეროვნულ სააგენტოში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, გასულ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან საზაფხულო ბანაკში 4-მა მოზარდმა დაისვენა, მანამდე კი პანდემიის გამო ორი წლის განმავლობაში ახალგაზრდული ბანაკები არ მოქმედებდა. ბანაკი მომავალ წელსაც, ივლისი-აგვისტოს პერიოდში რამდენიმე ნაკადს მთელი საქართველოდან მიიღებს.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოში კორონავირუსის ახალი შტამის, EG.5-ის შემთხვევები დაფიქსირდა

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია შეიძლება ბევრისთვის შორეულ მოგონებად ჩანდეს, კორონავირუსი აგრძელებს გავრცელებას. COVID-19-ის ახალი ქვევარიანტი სახელწოდებით EG.5 იზრდება ევროპაში მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში ის პირველად გამოვლინდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ ამ თვეში ის „საინტერესო ვარიანტად" დასახელდა, რადგან შემთხვევები გლობალურად იზრდება.



აი,რა უნდა იცოდეთ ამის შესახებ

EG.5 უკვე 50 ქვეყანაში დაფიქსირდა, მათ შორის საქართველოშიც. 28 დღის განმავლობაში მსოფლიოში მილიონი შემთხვევა გამოვლინდა, მათგან 3 000 ინფიცირებული გარდაიცვალა.

მისი გავრცელება გლობალურად გაიზარდა COVID-19 შემთხვევების 7,6 პროცენტიდან ივნისის ბოლოდან 17,4 პროცენტამდე ივლისის ბოლოსთვის. მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ამ ვარიანტით გამოწვეუული შესაძლო რისკი დაბალია წინა მოცირკულირე ვარიანტებთან სიახლოვის გამო. თუმცა, ჯანდაცვის გლობალურმა ორგანომ განაცხადა, რომ სუბვარიანტი შეიძლება გახდეს დომინანტი ზოგიერთ ქვეყანაში ან გლობალურად და გამოიწვიოს COVID-19 შემთხვევების ზრდა.

EG.5 თავდაპირველად ჩინეთში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გამოვლინდა, ახლა კი მისი შემთხვევები იზრდება ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში. მაგ; საფრანგეთში, ივლისში EG.5 შემთხვევების 26% წარმოადგენდა, დიდ ბრიტანეთში 14%-ს. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მონაცემების მიხედვით, შეერთებულ შტატებში, EG.5 წარმოადგენს შემთხვევების დაახლოებით 17%-ს, რაც ომიცრონ-ის ნებისმიერ სხვა შტამთან შედარებით უფრო მეტია.



„რამდენიმე ქვეყანაში, სადაც იზრდება EG.5 პრევალენტობა, აღინიშნა შემთხვევების ზრდა და ჰოსპიტალიზაცია, თუმცა ამჟამად არ არსებობს მტკიცებულება დაავადების სიმძიმით გამოწვეული შემთხვევების ზრდის შესახებ", - თქვა ჯანმო-მ ამ ვარიანტის რისკის შეფასებისას.

„მას აშკარად აქვს გარკვეული უპირატესობა სხვებთან შედარებით", - განმარტა როულანდ კაომ, ედინბურგის უნივერსიტეტის ვეტერინარული ეპიდემიოლოგიისა და მონაცემთა მეცნიერების პროფესორმა.

EG.5 ომიკრონის მსგავსი შტამია, ახასიათებს იგივე სიმპტომები - ხველა, ყელის, თავის, კუნთების ტკივილი, საერთო სისუსტე. საშიშია რისკ-ჯგუფებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

რაც შეეხება, ვაქცინებს. ამჟამად, COVID-19 ვაქცინები ადაპტირებულია Omicron XBB ვარიანტებისთვის, რომლებიც ახლოსაა EG.5-თან. „ვაქცინები კვლავ უზრუნველყოფს შესანიშნავ დაცვას მძიმე დაავადებებისა და სიკვდილისგან, რომლებიც გამოწვეულია COVID-19-ის ყველა ვარიანტით", - თქვა პოლარდმა ოქსფორდის უნივერსიტეტში.

„გამაძლიერებელი დოზები (ბუსტერი) ამცირებს ინფექციის რისკს იმ პირებში, რომლებსაც სუსტი იმუნიტეტი აქვთ, ხანდაზმულები არიან ან აქვთ ჯანმრთელობის რთული მდგომარეობა. ამჟამინდელი ვაქცინები, სავარაუდოდ, უზრუნველყოფენ გარკვეულ დაცვას ამ ვარიანტისგან,"- აღნიშნულია განცხადებაში.

სპეციალისტები აფრთხილებენ მოსახლეობას, სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, მოერიდონ თავშეყრის ადგილებს და დაიცვან წესები.

გარემო, ადამიანი და მაღალი ტემპერატურა – რას გვეუბნება ახალი კვლევები?

როგორც ცნობილია, ჯანმრთელი ახალგაზრდაც კი იღუპება 6 საათის განმავლობაში 35 გრადუსი ცელსიუსი სიცხის გაძლების შემდეგ, როდესაც ჰაერის ტენიანობა 100%-ია, მაგრამ ახალი კვლევა აჩვენებს, რომ ლიმიტი, შეიძლება, მნიშვნელოვნად დაბალი იყოს.

ზაფხულში ტემპერატურის მატებასთან ერთად, იზრდება სიცხისგან გამოწვეული რისკებიც. მათ შორის, ერთერთი ყველაზე სახიფათო რისკი მაღალი ტემპერატურით გამოწვეული სიკვდილიანობაა.

როგორც ცნობილია, ჯანმრთელი ახალგაზრდაც კი იღუპება 6 საათის განმავლობაში 35 გრადუსი ცელსიუსი სიცხის გაძლების შემდეგ, როდესაც ჰაერის ტენიანობა 100%-ია, მაგრამ ახალი კვლევა აჩვენებს, რომ ლიმიტი, შეიძლება, მნიშვნელოვნად დაბალი იყოს.

ამ დროს ოფლი - სხეულის ძირითადი საშუალება მისი შიდა ტემპერატურის შესამცირებლად - აღარ ორთქლდება კანიდან, რაც საბოლოოდ იწვევს თბურ დაკვრას, ორგანოთა უკმარისობასა და სიკვდილს.

„ეს კრიტიკული ზღვარი, რომელიც თავს იჩენს 35 გრადუსზე, რაც ცნობილია, როგორც „სველი ნათურის ტემპერატურა", მხოლოდ ათეულჯერ დაირღვა, ძირითადად, სამხრეთ აზიასა და სპარსეთის ყურეში", - განაცხადა კოლინ რაიმონდმა NASA-ს რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიიდან.

მიუხედავად იმისა, რომ „სველი ნათურის ტემპერატურა" ახლა, ძირითადად, გამოითვლება სითბოსა და ტენიანობის მაჩვენებლების გამოყენებით, ის თავდაპირველად იზომებოდა თერმომეტრზე სველი ქსოვილის დადების გზით. ეს საშუალებას აძლევდა მეცნიერებს, გაეზომათ, თუ რამდენად სწრაფად აორთქლდებოდა წყალი ქსოვილიდან.

ექსპერტების თქმით, ექსტრემალური სიცხე, შესაძლოა, სულაც არ იყოს ზემოხსენებულ ნიშნულზე, მაგრამ მაინც

გამოიწვიოს სიკვდილიანობა, რაც დამოკიდებულია ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

მაგალითად, გასულ ზაფხულს სიცხის გამო 61 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა ევროპაში, სადაც იშვიათად არის საკმარისი ტენიანობა, რომ „სველი ნათურის ტემპერატურა" შეიქმნას, მაგრამ გლობალური ტემპერატურის მატებასთან ერთად – ცოტა ხნის წინ დადასტურდა, რომ გასული ივლისი დედამიწის ისტორიაში ოდესმე დაფიქსირებული ყველაზე ცხელი თვე იყო – როგორც მეცნიერები გვაფრთხილებენ, მსგავსი ექსტრემალური მოვლენები კიდევ უფრო გახშირდება. მაგალითად, ბოლო 40 წლის განმავლობაში, ეს სიხშირე, სულ მცირე, გაორმაგდა.

რაიმონდის კვლევამ აჩვენა, რომ თუკი მსოფლიო წინა ინდუსტრიულ დონესთან შედარებით 2,5°C-ით დათბება, „სველი ნათურის ტემპერატურა" „რეგულარულად გადააჭარბებს" 35°C-ს მსოფლიოს რამდენიმე წერტილში მომდევნო ათწლეულების განმავლობაში.

ადამიანის გადარჩენის თეორიულ ზღვარს წარმოადგენს 35°C ტემპერატურა და ჰაერის 100%-იანი ტენიანობა ან 46°C ტემპერატურა და ჰაერის 50%-იანი ტენიანობა.

ამ ლიმიტის შესამოწმებლად, აშშ-ს პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრებმა გაზომეს ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანების შიდა ტემპერატურა სითბურ კამერაში.

მათ აღმოაჩინეს, რომ მონაწილეებმა მიაღწიეს თავიანთ „კრიტიკულ ზღვარს" - როდესაც მათმა სხეულმა ვერ შეაჩერა შიდა ტემპერატურის ზრდა - 30,6°C „სველი ნათურის ტემპერატურაზე", რაც თეორიულ ნიშნულზე გაცილებით დაბალია.

ჯგუფის შეფასებით, ასეთ პირობებს ადამიანის სიკვდილის გამოსაწვევად 5-დან 7 საათი სჭირდება. თუმცა, ცხადია, ეს ასევე დამოკიდებულია ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ასაკზე; ბავშვები და ხანდაზმულები ბევრად უფრო მოწყვლადები არიან.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

თურქეთი რუსეთს მოუწოდებს, შავ ზღვაში ესკალაციის გამოწვევას თავი აარიდოს

თურქეთმა ტვირთის გადამზიდ გემ Sukra Okan-თან დაკავშირებით მომხდარი ინციდენტის შემდეგ რუსეთს მოუწოდა, თავი აარიდოს ისეთ ქმედებებს, რომელიც შავ ზღვაში ესკალაციას იწვევს.

„ჩვენი პარტნიორები რუსეთში გააფრთხილეს, თავი შეიკავონ მსგავსი მცდელობებისგან, რაც შავ ზღვაში დაძაბულობის ესკალაციას იწვევს“, - აღნიშნულია პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ოფისის განცხადებაში.

გასულ კვირას რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ საპატრულო გემიდან „გამაფრთხილებელი ცეცხლი“ გახსნეს, რათა უკრაინის პორტისკენ მიმავალი უცხოური მშრალი ტვირთის გადამზიდი გემი შეეჩერებინათ და ასევე, მის შესამოწმებლად, „კა-29“ ვერტმფრენი გამოიყენეს.

უკრაინა საომარ მდგომარეობასა და მობილიზაციას ახანგრძლივებს

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა კანონებს, რომლებიც უკრაინაში საომარი მდგომარეობისა და მობილიზაციის ვადის გახანგრძლივებას ითვალისწინებს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, საომარი მდგომარეობა და მობილიზაცია 90 დღით, ანუ 2023 წლის 15 ნოემბრამდე გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან, უკრაინამ საომარი მდგომარეობა და მობილიზაცია მერვედ გაახანგრძლივა.

უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა გამართულიყო, თუმცა, კანონის მიხედვით, საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

„მზის კაცი” – მირზა გელოვანი

„მზის კაცი “ - მირზა გელოვანი დაიბადა 1917 წლის 2 მარტს თიანეთის რაიონში, სოფელ ნაქალაქარში. მისი წინაპრები სვანეთიდან ჯერ თელავში გადმოსულან, შემდეგ - თიანეთში. თიანეთში მირზას მამას, გედეონს, იქაური ქალი, ევა მაჩურიშვილი, შეურთავს ცოლად და საბოლოოდ თიანეთში დამკვიდრებულა. მირზამ ბავშვობა თიანეთში, მდინარე ივრის ლამაზ ნაპირებზე გაატარა.

მირზა მისი ლიტერატურული ფსევდონიმია. მას რეზო ერქვა. თავის პირველ ლექსებს კი „მზის კაცის“ ფსევდონიმით წერდა.

მირზა ძალიან ცელქი ყოფილა. მისი პირველი ლექსი მან მის დას, როენას მიუძღვნა: „ქათამი რომ კრუხად ჯდება, გამოჩეკავს წიწილებს, როენას რომ გავაბრაზებ, ნეტა ვისთან მიჩივლებს?“

1936-39 წლებში იგი თბილისში ცხოვრობდა, უმაღლეს სასწავლებელში არ შესულა, თავისუფალ მსმენელად დადიოდა უნივერსიტეტში.

1939 წლის ნოემბერში წითელ არმიაში გაიწვიეს. ფრონტიდან წერილებს უგზავნიდა მშობლებს:

„ძვირფასო მშობლებო!

მე საოცრად შევეჩვიე სიზმრებს, მაგრამ თქვენ არასოდეს მესიზმრებით. ზოგჯერ თქვენზე მიფიქრია და ისე დამიძინია, მაგრამ არა და არა, თქვენი ნახვა არ მიხერხდება.

დასწყევლოს ღმერთმა, ისე იფიქრებს ვინმე ამ წერილის წაკითხვაზე, თითქოს ბავშვი ვიყო, ოცდახუთი წელი კი დამეწყო.

ამბობენ, რომ ეს ყველაზე კარგი წლებია ცხოვრებაში. მე მათ ვერ ვხედავ.

ჩემი გზა მილიონობით გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება. მე ის ზღაპრული მოყმე ვარ, ყველგან რომ იპოვიდა საკუთარ ადგილს.

მჯერა , მე დავიბადე უდიდესი ძვრების მონაწილედ და ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად.

მოვივლი ყველა გრიგალებს და დავბრუნდები. ახალგაზრდა ვარ და იმედიანი. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა, რადგან იმედიანი ვარ და იმედი ამარცხებს სიკვდილს. რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე.“

მ ი რ ზ ა,
1941წელი

* * *

ჯარში გაწვევიდან ორიოდე წელში კაპიტნის ჩინს მიაღწია. მისმა თანამებრძოლებმა არც კი იცოდნენ, რომ მათი კაპიტანი საქართველოში ცნობილი პოეტი იყო.

„ვიდრე რამეს მოგწერდეთ, მინდა მოგთხოვოთ პატიება ყველა მწუხარებისათვის, რომელნიც ჩემგან გრგებიათ. ყველა შეცდომისათვის, რომლებიც ასე განუყრელნი იყვნენ ჩემი ცხოვრებისაგან. მე მინდა ისე უყურებდეთ ამ ომს, როგორც მე ვუცქერი: უშიშრად, უმწუხროდ.

გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო, თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, თქვენ ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ.“

მირზა გელოვანი 27 წლის ასაკში დაიღუპა. იგი ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას, 1944 წელს მოკლეს. ქართველი მეომარი ტყეში დაასაფლავეს, სოფელ ნიუნეე კრივინოს მახლობლად. საფლავზე ობელისკი იდგა, რომელზედაც მისი გვარი იყო ამოტვიფრული. 1952 წელს პოეტის ნეშტი სოფელ სანიკის ძმათა სასაფლაოზე გადაუსვენებიათ ვიტებსკის ოლქში.

დედას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სჯეროდა, რომ შვილი დაუბრუნდებოდა. 1963 წელს წერილი მოვიდა მის სახელზე, რომლითაც პიონერები ქალს შვილის საფლავის ადგილმდებარეობას ატყობინებდნენ - „ჩვენ ტერიტორიაზე, სოფელ სანიკში არის სამხედრო სასაფლაო, სადაც დაკრძალულია თქვენი შვილი, მირზა გელოვანი“, მაგრამ ამ დროს დედა ცოცხალი აღარ იყო...

მირზა გელოვანის პირველი ლექსი 1933 წლითაა დათარიღებული, უკანასკნელი 1944 წლით. სულ ათიოდე წელი გაგრძელდა მისი შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მაინც დაგვიტოვა ჩვენთვის ძვირფასი ლექსები.

კროსვორდი



შვეულად: 1. რომელი ნედლეულისგან იღებენ ქაღალდს 2. პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავებში 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება 4. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელივ მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან და გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდაზე 5. დონ კიხოტის ცხენი 6. სომხეთის დედაქალაქი 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 14. ხილის რბილობი არის ცრუ ნაყოფი. რა არის ნამდვილი ნაყოფი 15. ფური პირველი ხბოს მოგებამდე 16. რა არ აქვს თეთრ ლექსს 17. ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი ომის“ გაჩაღებას 18. ხელოვნური ბოჭკო. ერთდროულად მიიღეს ნიუ-იორკში და ლონდონში, რაც აისახა სახელწოდებაზე 20. ფრინველი - ახალი ზელანდიის სიმბოლო 21. იტალიური ცეცხლსასროლი იარაღი. უწოდეს კონსტრუქტორის სახელი 24. მხატვარი ... ოქროპირიძე 27. სპარტანელების დევიზი: „ფარით, ... ფარზე“

თარაზულად: 4. გზებისა და ვაჭრობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ტემპერატურული სკალა 9. ვინ ჩაატარა პირველად ცოფის საწინააღმდეგო აცრები 10. თოჯინა, რომლის მამას, კარლო კოლოდის პატივსაცემად ალექსეი ტოლსტოიმ კარლო უწოდა 11. საკანცელარიო ნივთი, რომლის სკულპტურა აღმართეს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ 12. მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მონომერებისგან შედგება 13. პატარა აეროსტატი. რომლის მეშვეობით ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ მონაცემებს იწერენ 15. ხე, რომლის ქერქი სანელებლად გამოიყენება 19. რეპტილია ფრანგულ კულინარიაში 20. ფრანგული ბაღები - შადრევანი, ინგლისური ბაღი - ველური ტყე, იაპონური ბაღი - ქვები, იტალიური ბაღი - ... 22 ტერმინი, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავს „სულის განწმენდას“ 23. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი 25. ქედი რუსეთში, რომელზეც გადის წარმოსახვითი საზღვარი ევროპასა და აზიას შორის 26. მდინარე, რომელიც ლაპტევების ზღვაში ჩაედინება 27. მარჯნის კუნძული 28. ზამბახი 29. მამული, ..., სარწმუნოება

გოგი ხარაბაძე გარდაიცვალა



ქართველი მსახიობი გოგი ხარაბაძე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ადასტურებს.

მსახიობმა განათლება საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო, შემდეგ კი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში დაიწყო მუშაობა. გოგი ხარაბაძემ ითამაშა მრავალ სპექტაკლში, მათ შორის, „მზიანი ღამე, „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და „მოულოდნელი სტუმარი“.

მსახიობი ქართულ კინოში 1966 წელს გამოჩნდა და მონაწილეობა მიიღო ფილმებში, როგორებიცაა „გიორგობისთვე“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“ და „დათა თუთაშხია“.

გოგი ხარაბაძეს 1976 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, 1976 წელს – დამსახურებული არტისტის წოდება, 1986 წელს კი – სახალხო არტისტის წოდება .

2017 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ „ხელოვნების ქურუმის“ წოდებით დააჯილდოვა ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოჩენილი მსახიობის გოგი ხარაბაძის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოხატავს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამძიმარსა და თანადგომას უცხადებს გოგი ხარაბაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთლიანად ქართველ საზოგადოებას.

„ბატონმა გოგიმ ათწლეულების განმავლობაში თეატრალური და კინოხელოვნების ერთგული მსახურებით საერთო სახალხო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მის მიერ შექმნილმა დაუვიწყარმა სახეებმა ქართულ კულტურულ საგანძურში დაიმკვიდრეს ადგილი.

გულწრფელ სამძიმარსა და თანადგომას ვუცხადებ გოგი ხარაბაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთლიანად ქართველ საზოგადოებას“, - აღნიშნულია მთავრობის მეთაურის განცხადებაში.

არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის, მარინა ოზბეთელაშვილის მეუღლის,

ვასილ ბენაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 2023

12 აგვისტო ახალგაზრდების საერთაშორისო დღეა. ეს დღე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით 1999 წლიდან აღინიშნება და ყოველ წელს სხვადასხვა სლოგანის ქვეშ აერთიანებს მილიონობით ახალგაზრდას მთელი მსოფლიოდან. წლევანდელი კამპანიის თემაა: „მწვანე უნარები ახალგაზრდებისთვის: მდგრადი სამყაროსკენ“.

სწორედ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა 15 აგვისტოს, სოფელ ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ეზოში გამართული ღონისძიება, რომელიც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სპეციალისტის, ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში, ნინო ალადაშვილის ინიციატივით გაიმართა.

ნინო ალადაშვილი მისასალმებელი სიტყვით წარსდგა შეკრებილი საზოგადოების წინაშე, ესაუბრა ამ დღის მნიშვნელობაზე, წარმატება უსურვა შეკრებილ ახალგაზრდებს და აღნიშნა, რომ „სწორედ ასეთი განსხვავებული, მოტივირებული და მიზანსწრაფული თაობა იქნება ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი გარანტი“.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, ახალგაზრდებს გიდობა მუზეუმის ხელმძღვანელმა-ქეთევან მჭედლიშვილმა გაუწია. მათ დაათვალიერეს ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, გაეცვნენ მისი დაარსებისა და განვითარების ისტორიას. მცირე ექსკურსის შემდეგ კი, ბავშვებმა მუზეუმის ეზოში სხვადასხვა ინტელექტუალური და სპორტული აქტივობები გამართეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქ.დედოფლისწყაროსა და სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები.

დასასრულ, ახალგაზრდებს, ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის, კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სახელით დიპლომები გადაეცათ. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ლია მაისურაძე და თანამშრომლები, ასევე ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები.

ღონისძიების ბოლოს, ღონისძიების ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელს-ქეთევან მჭედლიშვილს გულთბილი დახვედრისათვის.

პ.ს

იცოდით?

* ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებთა ნახევარი 30 წლის ან უფრო ახალგაზრდაა და მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი 2030 წლის ბოლოს 57%-ს მიაღწევს.

* გამოკითხვები აჩვენებს, რომ ადამიანების 67%-ს სჯერა უკეთესი მომავლის. ამ მხრივ 15-დან 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ყველაზე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

*ადამიანების უმრავლესობა თანხმდება, რომ ასაკობრივი ბალანსი პოლიტიკაში არასწორი და დარღვეულია. ყველა ასაკობრივ ჯგუფში შემავალ ადამიანთა ორ მესამედზე მეტი (69%) ეთანხმება, რომ საჭიროა უფრო მეტი შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის, რათა მათ თავისი სიტყვა თქვან პოლიტიკის შემუშავებაში/ცვლილებებში, რაც გააუმჯობესებს პოლიტიკურ სისტემებს.

* გლობალურად, პარლამენტარების მხოლოდ 2.6% არის 30 წლამდე ასაკის, ხოლო ამ ახალგაზრდა დეპუტატების 1%-ზე ნაკლები ქალია.

პარა ტაეკვონდოს ნაკრების მორიგი წარმატებული გამოსვლა

საქართველოს პარა ტაეკვონდოს ნაკრებმა წარმატებით დაასრულა ასპარეზობა ევროპის პარა ჩემპიონატზე. როტერდამი 2023-ის ასპარეზობის მე-9-ე დღეს, პარა ტაეკვონდოისტებმა ანდრეი სლეპცოვმა (-80კგ), გიორგი ზარქუამ (-80კგ), დავით მაქაძემ (აბსოლიტური) კიდევ სამი მაღალი სინჯის მედალი მოუტანეს საქართველოს ნაკრებს.

ანდრეი სლეპცოვი ოქროს მფლობელი გახდა, გიორგი ზარქუამ ვერცხლის მედალი აიღო, დავით მაქაძე ბრინჯაოს პრიზიორია. ევროპის პარა ჩემპიონატზე საქართველოს პარა ტაეკვონდოს ნაკრების ანგარიშზე სულ 9 მედალია (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო)

აღსანიშნავია, რომ პარა ტაეკვონდოში მამაკაცებს შორის ქართული ფინალი გაიმართა. ოქროს მედალი დედოფლისწყაროელ **გიორგი ხიზანიშვილს,** ვერცხლის მედალი კი გოგა ხახალაშვილს ერგო. პარა ტაეკვონდოისტები ლია ჩაჩიბაია და ანა ჯაფარიძე ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ბრინჯაოს მედლები, ასევე გიორგი ნიკოლაძემ და სანდრო მეგრელიშვილმა მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის პარა ჩემპიონატი როტერდამში 8-20 აგვისტოს გაიმართა, სადაც 45 ქვეყნის 1,500 პარასპორტსმენი პარალიმპიური სპორტის 10 სახეობაში ასპარეზობდა.

ვულოცავთ მთელ ნაკრებს ევროპის პარა ჩემპიონატზე წარმატებულ ასპარეზობას და მომავალშიც გამარჯვებას ვუსურვებთ.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება კერძო, კეთილმოწყობილი, ორსართულიანი ბინა ევდოშვილის მეორე შესახვევში, №7. ფასი შეთანხმებით. დაინტერესების შემთხვევაში დარეკეთ ნომერზე: ☎ **577 00 12 89**

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.08	სამშაბათი 22.08	ოთხშაბათი 23.08	ხუთშაბათი 24.08	პარასკევი 25.08	შაბათი 26.08	კვირა 27.08
დღე	30 °	31°	32 °	30 °	28 °	29 °	31 °
ღამე	18 °	19 °	18 °	18 °	17°	18 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი